სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ფრაქცია „ოზურგეთი - საქართველოსთვის“

მისამართი - ქალაქი ოზურგეთი მერაბ კოსტავას #1, ტელ: 599 07 77 11; 595 21 07 07; 593 25 92 00; 555 18 13 13

N 14

22 ნოემბერი 2024 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ **ავთანდილ თალაკვაძეს**

ასლი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ **დავით დარჩიას**

გაცნობებთ, რომ ფრაქციამ „ოზურგეთი - საქართველოსთვის“ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებს, რასაც ჯერ ვერ ვიტყვით წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. 2024 წელთან შედარებით ბიუჯეტის ზრდას ვხედავთ, თუმცა ბიუჯეტის პროექტში, როგორც გასული წლების შემთხვევაში, ანალოგიურად სრულად არ არის გათვალისწინებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლობის ყველაზე დუცველი ნაწილის ინტერესები.

ასევე უნდა დამუშავდეს პროექტის ინდიკატორები და დაზუსტდეს აღწერილობითი ნაწილი (პროგრამები/ქვეპროგრამები).

წარმოგიდგენთ 2025 წლის წლის ბიუჯეტში განსახილველ საბიუჯეტო ინიციატივებს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანების ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში (ყოფილი ე. წ. „გარადოკის“ დასახლებაში) მდებარე უსახლკაროთა საცხოვრებელი ბინების სრული რეაბილიტაცია.
3. ქალაქ ოზურგეთში ჟღენტის #4-ში მდებარე (ყოფილი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია) უსახლკაროთა საცხოვრებელი ბინების სრული რეაბილიტაცია.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტეირტორიაზე შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა.
5. დედით ან/და მამით ობლების სწავლის საფასურის თანადაფინანსება.
6. ქალაქ ოზურგეთში მოიდანახის უბანში (ტელმანის, ლანჩხუთის და გორკის ქუჩების მიმადებარედ) სტადიონის რეაბილიტაცია.
7. კორუფციის აღმოსაფხვრელად და შემდგომი პრევენციის მიზნით ანტიკორუფციული დროებითი კომისისს შექმნა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ერთხელ გვინდა წარმოგიგდინოთ წინადადებები 2023 და 2024 წლების ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ჩვენი ინიციატივის შესახებ, კერძოდ: „სახალხო ბიუჯეტირების“ წესის შემუშავების ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეების აქტიურ ჩართვას თვითმმართველობის პროცესში, ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობისა და ბიუჯეტის პრიორიტეტების შერჩევაში . „სახალხო ბიუჯეტირება“ კი როგორც უკვე მოგახსენეთ, ნიშნავს მოსახლეობის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს განხილვისა და ბიუჯეტირების პროცესში, ასევე განახორციელოს კონკრეტული ინიციატივები და საჭიროებები. აღნიშნული არ ნიშნავს ახალი ფინანსური ხარჯების მოძიებას, შესაბამისად შესაძლებელია მომდევნო წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას „სახალხო ბიუჯეტირებისთვის“ საჭირო მინიმალირი ქვედა ზღვარი 3 %-ის ოდენობით.

ვფიქრობ ერთად შევძლებთ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც პირველ რიგში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

პატივისცემით,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ოზურგეთი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე:

ალეკო ბურჭულაძე